ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 150

ქალაქი ქუთაისი 26 დეკემბერი 2022 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 იანვრის N 40 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 61-ე მუხლის საფუძველზე:

მუხლი 1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 იანვრის N 40 განკარგულება.

მუხლი 2. ცნობად იქნეს მიღებული, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის $ბ^1$ ქვეპუნქტის, 28-ე მუხლის მე-2 და 2^3 პუნქტების, 30^1 მუხლის მე-3 პუნქტის, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილების დანართის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 36-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დასკვნის საფუძველზე, 2022 წლის 22 დეკემბერს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ“ და გამომდინარე აქედან:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში კომისიის წევრთა რაოდენობა განისაზღვრა შემდეგნაირად:

ა) საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიაში – საკრებულოს 11 წევრი;

ბ) საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში – საკრებულოს 17 წევრი;

გ) საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიაში – საკრებულოს 16 წევრი;

დ) საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიაში – საკრებულოს 12 წევრი;

ე) საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიაში – საკრებულოს 14 წევრი.

საქართველო ქ. ქუთაისის საკრებულო
მას. №-451

2. დამტკიცდა პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ წარდგინებით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არჩეულ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთაგან საკრებულოში შექმნილი ფრაქცია „ქართული ოცნების“ მიერ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობებში წევრთა წარდგენის პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები:

ა) საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიაში – 5 წევრის ოდენობით;

ბ) საკრებულოს საფინანსო – საბიუჯეტო კომისიაში – 8 წევრის ოდენობით;

გ) საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიაში – 8 წევრის ოდენობით;

დ) საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიაში – 5 წევრის ოდენობით;

ე) საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიაში – 6 წევრის ოდენობით.

3. დამტკიცდა პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარდგინებით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არჩეულ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთაგან საკრებულოში შექმნილი ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობებში წევრთა წარდგენის პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები:

ა) საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიაში – 5 წევრის ოდენობით;

ბ) საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში – 6 წევრის ოდენობით;

გ) საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიაში – 6 წევრის ოდენობით;

დ) საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიაში – 5 წევრის ოდენობით;

ე) საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიაში – 6 წევრის ოდენობით.

4. დამტკიცდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობებში საკრებულოს იმ წევრთა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები, რომლებიც გაერთიანებულნი არ არიან არცერთ ფრაქციაში:

ა) საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიაში – 1 წევრის ოდენობით;

ბ) საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში – 3 წევრის ოდენობით;

გ) საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიაში – 2 წევრის ოდენობით;

დ) საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიაში – 2 წევრის ოდენობით;

ე) საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიაში – 2 წევრის ოდენობით.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე _____ თაკლი შენგელია